გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება № 213

2023 წლის 10 ნოემბერი

ქალაქი გორი

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2022 წლის 01 ოქტომბრიდან 2023 წლის 01 ნოემბრამდე ჩათვლით გაწეული საქმიანობის ანგარიშის შეფასების შესახებ

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 14 ნოემბრის №1 დადგენილების „გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ 132-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად საკრებულოს თავმჯდომარე მოვალეა წელიწადში ერთხელ მაინც, არაუგვიანეს 1 ნოემბრისა საკრებულოს წარუდგინოს ანგარიში მის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ. აღნიშნული ანგარიში მოსმენილ იქნა საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის სხდომაზე, ასევე საჭიროა საკრებულოს სხდომაზე მოსმენილ იქნას და შეფასდეს გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ანგარიში 2022 წლის 01 ოქტომბრიდან 2023 წლის 01 ნოემბრამდე გაწეული საქმიანობის შესახებ.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების შესაბამისად:

1. დადებითად შეფასდეს გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2022 წლის 01 ოქტომბრიდან 2023 წლის 01 ნოემბრამდე გაწეული საქმიანობის ანგარიში თანდართული №1 დანართის თანახმად (დანართი თან ერთვის ოთხ ფურცლად).

2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი ქ. გორი, სერგო ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე **დავით რაზმაძე**

დანართი №1

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2022 წლის 01 ოქტომბრიდან 2023 წლის 01 ნოემბრამდე გაწეული საქმიანობის ანგარიში

2021 წლის 03 დეკემბერს შემდგარი გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო შედგება: 36 საკრებულოს წევრისაგან (12 - მაჟორიტარული, ხოლო 24 -პროპორციული).

მათ შორის: თავმჯდომარე, თავმჯდომარის პირველი მოადგილე და ორი მოადგილე. საკრებულოს 5 მუდმივმოქმედი კომისიის და 3 ფრაქციის თავმჯდომარე:

საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისია შედგება 14 წევრისაგან, აღნიშნულმა კომისიამ **2022 წლის 01 ოქტომბრიდან 2023 წლის 01 ნოემბრამდე პერიოდში** ჩაატარა 20 სხდომა, სულ განიხილა 74 საკითხი.

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისია შედგება 13 წევრისაგან, აღნიშნულმა კომისიამ **2022 წლის 01 ოქტომბრიდან 2023 წლის 01 ნოემბრამდე პერიოდში** ჩაატარა 16 სხდომა, სულ განიხილა 23 საკითხი.

საკრებულოს ჯანდაცვის, განათლების, სპორტის, კულტურის და სოციალურ საკითხთა კომისია შედგება 15 წევრისაგან, აღნიშნულმა კომისიამ **2022 წლის 01 ოქტომბრიდან 2023 წლის 01 ნოემბრამდე განვლილ პერიოდში** ჩაატარა 13 სხდომა, სულ განიხილა 29 საკითხი.

საკრებულოს სივრცითი-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისია შედგება 13 წევრისაგან, აღნიშნულმა კომისიამ **2022 წლის 01 ოქტომბრიდან 2023 წლის 01 ნოემბრამდე განვლილ პერიოდში** ჩაატარა 15 სხდომა, სულ განიხილა 85 საკითხი.

საკრებულოს ქონების მართვის, ბუნებრივი რესურსების, აგრარულ და მიწის საკითხთა კომისია შედგება 16 წევრისაგან, აღნიშნულმა კომისიამ **2022 წლის 01 ოქტომბრიდან 2023 წლის 01 ნოემბრამდე განვლილ პერიოდში** ჩაატარა 13 სხდომა, სულ განიხილა 111 საკითხი.

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ჩატარდა 1 კომისიების ერთობლივი სხდომა და განხილულ იქნა 2023 წლის ბიუჯეტის პროექტი, მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტი.

2022 წლის 21 ნოემბრს შეიქმა გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს უმრავლესობა. მიმდინარე პერიოდში ჩატარებული აქვს 5 სხდომა და განხილული აქვს - 88 საკითხი.

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ფუნქციონირებს 3 ფრაქცია:

„ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“- თავმჯდომარე კობა ბერიანიძე

მოადგილეები - მიხეილ ვახტანგაშვილი, გიგა გელაშვილი, დავით ადუაშვილი, ივანე ნონიკაშვილი, ნანი ოქროპირიძე, ბორის გოგიჩაიშვილი.

წევრთა რაოდენობა- 22.

ჩატარებული აქვს 8 სხდომა და განხილული აქვს 95 საკითხი.

„გორი-საქართველოსთვის“ - თავმჯდომარე - მამუკა ფანიშვილი

მოადგილე - მერაბ გოხელაშვილი

წევრთა რაოდენობა 3.

ჩატარებული აქვს 0 სხდომა და განხილული აქვს 0 საკითხი.

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ - თავმჯდომარე ბექა ქორჩილავა

მოადგილეები - კახა ლობჟანიძე, ანი ბალიაშვილი, ნაზი დიდებელი.

წევრთა რაოდენობა- 9.

ჩატარებული აქვს 10 სხდომა და განხილული აქვს 45 საკითხი.

საკრებულოს მუშაობას ორგანიზებას უწევს საკრებულოს აპარატი, შემდგარი აპარატის უფროსი -1, პროფესიული საჯარო მოხელე - 18 და შტატგარეშე მოსამსახურე -5.

საკრებულოს თავმჯდომარის მიერ გამოცემულია საორგანიზაციო - 93 და საკადრო - 168 ბრძანება.

ჩაატარდა საკრებულოს სხდომა - 20 (მორიგი - 13 , რიგგარეშე - 7), განხილული საკითხების რაოდენობა -318; საკრებულოს ბიუროს სხდომა - 42 (მორიგი - 29 , რიგგარეშე - 13), განხილული საკითხების რაოდენობა სულ - 581.

კორენსპოდენცია: სულ - -516, შესრულებული - 426. მთ შორის: მატერიალური სახით შემოსული განცხადებები - 166; ელექტრონულად - 364; გასული - 465; შიდა წერილი (მოხსენებითი ბარათი) სულ -297, აქედან პრობლემების შესახებ- 111,

საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით შემოსულია - 34 წერილი, ყველა მათგანი დაკმაყოფილებულია.

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ მიღებულია 56 **დადგენილება**, მათ შორის: 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცება და მასში ცვლილებების შეტანის შესახებ; გორის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესი და მასში ცვლილებების შეტანის შესახებ, მერიისა და მერიის სამსახურების დებულებებში ცვლილებების შეტანასთან დაკავშირებული საკითხები; გორის მუნიციპალიტეტის მერიის და საკრებულოს თანამდებობის პირთა და სხვა საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ცვლილებები და სხვა.

ასევე, 274 **განკარგულება**, მათ შორის: 2022 -2023 წლების ბიუჯეტის კვარტალური გეგმების შესრულების ანგარიშის მოსმენისა და შეფასების, ბიუჯეტის წლიური ანგარიშის დამტკიცების შესახებ; საკრებულოს სამუშაო გეგმების დამტკიცების და გეგმით გათვალისწინებული საკითხების მოსმენისა და შეფასების შესახებ; გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პრივატიზაციის გეგმის და ნუსხის დამტკიცების შესახებ; სოციალური პროექტების თანადაფინანსება; ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების და ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების მესაკუთრეთა გაერთიანებების თანადაფინანსება; ინფრასტრუქტურული პროექტების თანადაფინანსება, კულტურული, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებების პროექტების ხელშეწყობა და თანადაფინანსება; გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებების სახელმწიფოსთვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის

შესახებ', პროფესიულ საჯარო მოხელეთა განვითარებისა და გენდერული საბჭოს სამოქმედო გეგმები და სხვა.

საქართველოს მთავრობის 2015 წლის 01 ივნისი #239 დადგენილების „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ" შესაბამისად საკრებულო ახორციელებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული გეოგრაფიული ობიექტების სახელდებას. 2022 წლის ოქტომბრიდან განვლილ პერიოდში შესაბამისმა კომისიამ განიხილა 5 ინიციატივა მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების თაობაზე და მოაწყო 3 შეხვედრა მოსახლეობასთან კონსულტაციის მიზნით გორის მუნიციპალიტეტის სხვადასხვა დასახლებაში, ამასთან განხილულ იქნა არსებულ განკარგულებებში ცვლილებების შეტანის თაობაზე 4 პროექტი:

- ინიციატივა - „გეოგრაფიული ობიექტის სახელდების შესახებ" კარალეთის ადმისტრაციულ ერთეულში უსახელო ქუჩისთვის „თავისუფლების" სახელის მინიჭების შესახებ;
- „გორის მუნიციპალიტეტის სოფლებში არსებული ქუჩების სახელდების შესახებ" განკარგულების პროექტი;

- ინიციატივა - „გეოგრაფიული ობიექტის სახელდების შესახებ" ზეღდულეთის ადმისტრაციულ ერთეულში უსახელო ქუჩისთვის ლევან მანძულაშვილის სახელის მინიჭების შესახებ;

- ინიციატივა - „გეოგრაფიული ობიექტის სახელდების შესახებ" გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ბერშუეთში გიორგი ტარსაიძის სახელის მინიჭების შესახებ;

- „გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ბოშურში არსებული მე-5 ქუჩის II-ჩიხის სახელდების შესახებ" განკარგულების პროექტი;

- „გორის მუნიციპალიტეტის სოფლებში: აძვში, ახალუბანში, ციცაგიანთკარში, ჯარიაშენში, ქიწნისში, ქვემო არცევში, ქვეშში და სათემოში არსებული ქუჩების სახელდების შესახებ" გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 14 იანვრის #16 განკარგულებაში ცლილების შეტანის თაობაზე" განკარგულების პროექტი;

- „გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 13 მაისის N92 განკარგულებაში „გორის მუნიციპალიტეტის სოფლებში: სვენეთში, რეხაში, ხელთუბანში და თორტიზაში არსებული ქუჩების სახელდების შესახებ" ცვლილების შეტანის თაობაზე" განკარგულების პროექტი;

- „გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ტინისხიდის დასახლებაში არსებული ქუჩების სახელდების შესახებ" გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 14 იანვრის N17 განკარგულებაში ცლილების შეტანის თაობაზე" განკარგულების პროექტი;

- „გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 10 დეკემბრის N 245 განკარგულებაში „გორის მუნიციპალიტეტის სოფლების: სკრის, ბეთლემის, დიდი გორიჯვარის, პატარა გორიჯვარის, რიეთის, კოშკების, დიდი გარეჯვარის და პატარა გარეჯვარის დასახლებაში არსებული ქუჩების სახელდების შესახებ" ცვლილების შეტანის თაობაზე" განკარგულების პროექტი;

საკრებულოს წევრები კანონმდებლობით დადგენილი წესით წესით პერიოდულათ ხვდებიან თავიანთ ამომრჩეველს, ინიშნავენ პრობლემებს და საკითხის მოგვარებისთვის ინიციატივით მიმართავენ აღმასრულებელ ორგანოს.

მიმდინარე წელს გაიმართა გორის მუნიციპალიტეტის გენდერული საბჭოს 4 სხდომა, განხილულ იქნა 15 საკითხი.

საკრებულოს აპარატში პრაქტიკული კომპონენტის შესრულების მიზნით საჯარო მმართველობის კლინიკა გაიარა

სსიპ- გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნეს ისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის საჯარო მმართველობის საბაკალავრო საგანმ ანათლებლო პროგრამის 17 სტუდენტნმა.

მუნიციპალიტეტის უფლებამოსილების განხორციელების ხელშეწყობის ფარგლებში, ახალგაზრდების ჩართულობის კუთხით, საკრებულოს მხრიდან დაწესდა თვეში ერთი დღე სახელწოდებით „საკრებულო ახალგაზრდებისთვის“, რომლის ფარგლებში ხდება საკრებულოს კომისიების, ბიუროს, საკრებულოს საქმიანობის, საკრებულოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების, ჩართულობის მექანიზმების და მონაწილეობითი მიდგომების გაცნობა ახალგაზრდებისთვის.

საკრებულო ჩაერთულია საქმისწარმოების ელექტრონულ კანცელარიაში (https://msda.ge). გარდა ელექტრონული საქმისწარმოებისა, საკრებულო მუშაობს ელექტრონულ პროგრამაში http://publish.matsne.gov.ge/; http://stajireba.gov.ge/ ; NHR/HrAuthorization. საკრებულოს აწარმოებს ელექტრონული ფორმით ინფორმაციის გამოქვეყნებას გორის მუნიციპალიტეტის საჯარო დაწესებულების ვებ-გვერდზე (www.gori.mun.gov.ge), საკრებულოს ფეისბუქ გვერდზე (www.facebook.com) და ახდენს საკრებულოს საინფორმაციო დაფაზე საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ საჯარო ინფორმაციების გამოქვეყნებას. ამასთან საკრებულოს სხდომებზე დანერგილია ელექტრონული ხმის მიცემის სიტემა.

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო აქტიურად თამნამშრომლობს საერთაშორისო, სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაცია/დაწესებულებებთან, მასმედიასთან.